სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-222

ქ. თბილისი

25.02.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე მარიამ ბაინდურაშვილის, მარიკა ახვლედიანის და გიორგი ნადირაშვილის ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის №1236 ბრძანების, მარიამ ბაინდურაშვილის 2015 წლის 13 თებერვლის N03-5230/15 განცხადების, მარიკა ახვლედიანის 2015 წლის 12 თებერვლის N03-5038/15 განცხადების, გიორგი ნადირაშვილის 2015 წლის 16 თებერვლის N03-5243/15 განცხადების, სამართლის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე ჩოკორაიას 2015 წლის 18 თებერვლის №03-5723/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ქვემოთ ჩამოთვლილი პირები ჩაირიცხონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე და სწავლას შეუდგნენ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან:

ა) მარიამ ბაინდურაშვილი (საქართველოს მოქალაქე (პირადი N01027077086));

ბ) მარიკა ახვლედიანი (საქართველოს მოქალაქე (პირადი N21001041861));

გ) გიორგი ნადირაშვილი (საქართველოს მოქალაქე (პირადი N01024080609)).

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება;

3. დაევალოს სამართლის სკოლას მარიამ ბაინდურაშვილის, მარიკა ახვლედიანისა და გიორგი ნადირაშვილის პირადი საქმის მოწესრიგება;

4. დაევალოს სამართლის სკოლას უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში მარიამ ბაინდურაშვილის, მარიკა ახვლედიანისა და გიორგი ნადირაშვილისათვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

6. დაევალოს სამართლის სკოლას ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში;

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს სამართლის სკოლას, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და მარიამ ბაინდურაშვილს, მარიკა ახვლედიანს და გიორგი ნადირაშვილს.

რექტორი

გიგა ზედანია